

140
1978

067355 0
30841113 30



საბავშვო ჟურნალი

9
1978



ჩ ე მ ლ ს კ მ ლ ა ვ

მ ზ ი ა რ ხ ე მ ი ა ნ ი

გვირხვე ცისკრის ცისფერ ფარდებს
 სასექტემბრო ზარის ხმებით,
 გახარებს, რომ გავიზარდეთ,
 რომ ხალისით გიბრუნდებით,
 რომ სულ შუქად მიმოვფინეთ,
 რაც საგზალი გაგვაყოლე,
 მთა და ბარი მოვიფრინეთ,
 ფრთები ქარებს დავატოლეთ.
 გეიცინიან,
 კრიალუნენ
 მერხები და მაგიდები,
 ყველას ღიმილს მიაგებებ,

დედასავით დავგვივლები.
 ჩიტუნების ჭიკჭიკივით
 უბეს გივსებს ხმები ჩვენი,
 აქ რომ სიბრძნის კერა ღვივის,
 იმ შუქით ვართ გულსაგვნი.
 ხომალდს გაგხარ,
 ცისფერ ხომალდს,
 სიბრძნის ზღვაში რომ გასცურა
 და ათასიც გაიყოლა
 უცხო გზებზე მოგზაურად,
 აგვაესე და გაგვახარე
 ძიებით და აღმოჩენით,

კიდევ უფრო შეგვაყვარე
 მშობლიური მხარე ჩვენი!
 ჩვენი სკოლაც,
 საყვარელო,
 მშობლიური ჩვენი სკოლაც,
 ეს რა გრძნობამ აგვიყოლა,
 ეს რა გრძნობამ აგვათრთოლა!
 გვირხვე ცისკრის ცისფერ ფარდებს
 სასექტემბრო ზარის ხმებით,
 ჩვენც ავმადლდით,
 გავიზარდეთ,
 ჩვენც ხალისით გიბრუნდებით.



ქარვალ ითქვა საკავშირო XVIII ყრილობის დადგენილებების შესრულებაში პიონერთა როლი; იმაზე, რომ რეოლში, რაზმისა და რაზმეული ყოველი პიონერი სკამზე, შრომითი ნობათი, მიღებული ხუთიანი თუ გვერდში მყოფი მეგობრისათვის, უფროსებისათვის გაწეული ყოველი სიტყვა საუკეთესო საჩუქარია მე-60 წლისათვის იუბილე-სადმი.

ბანაკში მიღებული გამოცდილება გაუადვილებს აქტივობებს „სიცილის საღამოების“, კონსერვების — „აბა, ბიჭუნებო!“, „აბა, გოგონებო!“ მომზადებას.

სკოლის შემდეგ თავისუფალი დრო შეიცვება ბანაკში შესწავლილი სინთეტური თამაშობით: „ბურთის ჩაგდება“, „სპორტული პანტომიმა“, „სალათის დამზადება“ და სხვ. გაიხსენებენ მეზობლად მიღბარე ბანაკ „მეგობრებთან“ ერთად გამართულ სამწყობრო სიმღერების დათვალიერებას, სადაც „შეგარდენილან“ 25 პიონერი ცინაწილობდა, მაშინ გაიმარჯვა „ცინაწის“ პირველმა რაზმმა. კომკავშირის მე-60 წლისთვის მიძღვნი ვიქტორიანაკონკურსი — „ვინ უკეთ იცნობს ჩვენს მხარეს“, მოგონებათა საღამო — „თქვენს სახელს სამშობლო სანთლებად აინთებს“, „ჩვენი შრომითი ნობათი — ფესტივალს“, ზეპირი ეურნალი — „გ. ი. ლუნიჩი — ოქტომბრის რევოლუციის ბელაი“, მხატვრული კეთხვის საღამო, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალისადმი მიძღვნილი შაბათობა, ელვა-კონცერტი, კოკონი, საპატრიო სტუმრების მონაწილეობით გამართული საღამო — „ვიცნობთ ლ. ი. ბრეჟნევის „მცირე მიწაზე“ და „აღორძინებაზე“, ინსცენირებული სიმღერების საღამო, დისკუტი: „ვინ უკეთ იცნობს საქართველოს სსრ კონსტრუქციას“, კარნავალი, მხიარული სტარტები, ფანტას-

რეაქციანი სკოლის დირექტორი შ. თათარაშვილი.

საკავშირო კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე ნაზი დობორჯინიძეს შეკრებილიათვის უამბნია, თუ როგორ აგროვებენ ქართველი პიონერები „ნობათს წიქარასათვის“, იღებენ „პიონერულ ნაღობს“, მხარში უღვანან უფროსებს საკომლემენტური მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში, სატყეოვარზეც უსუბრიათ. უთქვამთ, რომ ძნელია პიონერული ატრიბუტების შექმნა, რომ მუსიკით გატაცებულ ბავშვებს ორკესტრის ჩამოყალიბება უძნელდებოთ, რადგან ინსტრუმენ-

ტების შექმნა ჰერს. იმ შეხვედრაზე ბერი თქმულა ფაბრიკა-ქარხნებიდან, კოლმეურნეობებიდან თუ საბჭოთა მეურნეობებიდან მოსულ მუშა რაზმის ხელმძღვანელებზეც...

ნაზი ხელმძღვანელმა ამ ზაფხულს თავისი ბანაკის პიონერებს სხვა დარიგებებიც მისცა. როცა სკოლაში რაზმისა თუ რაზმეულის საბჭოებს ზაფხულის ანგარიშებს ჩააბარებთ, უსათუოდ უამბეთ საკავშირო ალქცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან შეხვედრაზე, სადაც ასე

ბანაკის საპატრიო დამსვენებლში იხვანა ჯარტყელი ხაზუმები ბარბანის ფაფრაციური კამაუბლიანად.

ზახხულშიც არ მოკლებია გარუნ-ველოზა ნარბავეს.



ტიკური პროექტების — „მფრინავი თევზების“, „წყალქვეშა ქალაქის“, „მომავლის ბანაის“ დაცვა და სხვა მრავალ ბავშვები ვერ დაიფიქსებენ საყვარელ ხელმძღვანელს, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებულ სტუდენტს სერგო ვარდოსანიძეს. პედაგოგური ინსტიტუტშიც მიაკითხავენ მას.

ბანაკიდან კიდევ ერთი სასწოვარი

წაიღეს პიონერებმა, უბის წიგნაკში ჩაინიშნული მისამართები:

თბილისის 1-ლი სკოლა, გოჩა და ეთერ ჭკალდუებს.

თბილისის 47-ე სკოლა, ირაკლი ვარდოსანიძეს.

ბოლნისი, გომარეთი, ელიკო ხეადაგანს.

ვენის 1-ლი სკოლა, თამარიკო შენგელიას.

თბილისის, 129-ე სკოლა, მარინა შიუკაევას.

თბილისის 54-ე სკოლა, უფროს

პიონერებმძღვანელ მარინე წულაიას...

პიონერთა უბის წიგნაკში ჩაინიშნული მისამართების სია ზრცელთა...

ახალი მისამართებით გაივზავნება ბარათები; ამას კი მოჰყვება ქალაქის და სოფლის პიონერების ურთიერთობის განმტკიცება.

კარგ საქმეთა ურთიერთგაზიარება, დიდი პიონერული მეგობრობა

ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავისათვის

მზღვლების დღეებში.



ხეში ნაყვარი მიჭირეს

ვალენტი
ასლაბეიშვილი

მ ო თ ხ რ ბ ა

მხატვარი
პასტანა პულისაშვილი

— ზურიკო, დამსვი მერხზე!
ზურიკომ ვითომ ვერ გაიგო.

— არ გესმის?

კვლავ დუმილი.

— ზურიკო! — ხმას აუწია მაკამ და ნაწყენმა ქვედა ტუჩი ჩაიკვნია, სახეზე აღმურმა გადაკარა.

ზურიკო კი მომასავით გარინდებული იჯდა, თავი ფანჯრისკენ მიგზრუნებინა, ვითომ კავკასიონის მთების სილამაზემ მომტაცა თვალიო, და მარადიული თოვლით დაფარულ მწვერვალუმს გამტერებული უყურებდა.

მაკა მოთმინებით იცდოდა, შავი, დიდრონი თვალებით დასცქეროდა ბიჭის ჯაგარა თმას და ფიქრობდა, ერთხელაც ვთხოვ, თუ კიდევ მიიყრუა ყური, მაშინ სხვაგან გადავვადებო.

თითქოს ფიქრს მიუხვდაო, ზურიკომ თავი მიმძიდ მოაბრუნა მისკენ და ისე შეათვალიერა, კაცს ეკონებოდა, დღეს პირველად ხედავდა მას და სულ რაღაც ოთხიოდ წუთის წინ, ახალი სასწავლო წლის დაწყებთანამი მიძღვნილ მიტინგზე

გვერდივერდ არ იდგნენ. თუმცა რა, არც მაშინ გაუცია ხეირიანად ხმა, როცა მაკა მიესალმა და პირველი სექტემბერი მიულოცა.

— მიცნობ, გიცნობ? — თქვა ზურიკომ, მერხზე უფრო მოხერხებულად დაჯდა და თავი ისევ მზით განახსავებული ღია ფანჯრისკენ მიაბრუნა.

გოგონა მოთმინებით ელოდა. ცალ ხელში ახალთახალი, ყვითელი ტყავის ჩანთა ეჭირა, მეორეში — ცისფერ ქალაღღ-შემოკრული თიხის ქოთანში. ქოთანში ოთახის ია საამურად ყვავოდა.

ზურიკოს სიკვიტემ და უყურადღებობამ გოგონას გული ატკინა. გაჯაგრებულმა ფეხები დააბაკუნა და დაემუქრა:

— არასოდეს ხმას არ გაგცემ!

— აი დარდი, არ შემამინა! — ისე თქვა ზურიკომ, აქეთ არც მოუხვდავს.

— არ დაგვდარდება ხომ? — ჩაესმა მაკას ბრახანარვი ხმა.

— არა! — სწრაფადვე გატაპუსა ზურიკო.

- ზურიკო!
- ვიცი, რომ ზურიკო შევია!
- ლამაზი, ბიჭო!

ზურიკომ თავი მოაბრუნა და მაკას ქვევდიან ასედა რა კოსტად დაუვარცხნია თმა, უკან ერთად მოუქუჩებია და ზედ თეთრი პებელასავით ბაფთა დაუსუკუბებია! ყელსახვევიც რა მოხდენილად გამოუნაკვავს! ია? ია რიდასთვის მოუტანია? ალბათ ბოტანიკის მასწავლებელს მიაართმევს, — და-ასკედა ზურიკომ და უცებ მოაგონდა, რას თხოვლობდა მისგან მაკა.

- იცი რა, შენს გვერდით ჯდომა არ მინდა!
- რატომ?
- იმიტომ!
- მიზეზი?
- ვითომ არ იცი!

მაკას ხელი დაეღალა. ქოთანი მერჩხვ ფრთხილად დადგა. — ქოთნის ადგილი ფანჯრის რაფაა! — შენიშნა ზურიკომ.

მაკამ ქოთანი მერჩხიდან აიღო და რაფაზე შემოიდგა. — მაშინ შენი ბრალი იყო! — ჩემი? — წამოძიხა ბიჭმა და ფეხზე წამოსტა, მაკას ცხვირწინ აეტყუა. — ჩემი, ხომ? — დიას, შენი!

ზურიკო ფიქრობდა, რა ვუთხრა ახლა იმისთანა, რომ უფრო გაეჯავროთ. ვიდრე მოიფიქრებდა, ჰაერი ღრმად ჩაიუნთქა და, რაკი უცებ ვერაფერი მოიასურა, საბერველივით ამოიქმინა. ამ დროს ვიღაცის ხმა მოისმა: — ჩემთან დაჯექი!

ზურიკო იქით შებრუნდა, მისი თვალები უცხო ბიჭის თვალებს შეეფეთა. მაღალი, ქერაქორიანი, ლამაზი ბიჭი იყო. მეოთხე მერჩხე, ფანჯარასთან იჯდა.

— ვერ დაეტყვი შენს ადგილზე? — კბილებში გამოსცრა ზურიკომ.

ბიჭმა პასუხად გაიღიმა. — ადვილი თავისუფალია და... — ფრთხილად, ბიჭო! — შეუბღვირა ზურიკომ და იმის შიშით, ემანდ მაკა იმ ბიჭთან მართლა არ გადაჯდესო, ფარხმალდაყრილმა ჰკითხა: — საით იწებებთ, ფანჯარასთან თუ აქეთ? — განგებ ჰკითხა, თორემ განა არ იცოდა, მაკას ფანჯარასთან რამე უყვარდა ჯდომა? შარშანაც ხშირ ეთრდებოდა ისხდნენ, იმის წინაც. ყოველთვის ფანჯარასთან ირჩევდნენ მერჩხს, რადგან იქ ერთდროულად შევიძლია იცოდეს, რა ხდება კლასში და რა ამბავია გარეთ, მით უმეტეს ახლა, როცა სწავლა ახალ სკოლაში დაიწყეს და მის ეზო-ყურეს სერიანად არ იცნობენ. ზურიკომ პასუხს აღარ დაუცადა, მაკა ფანჯარასკენ გაატარა, უცხო ბიჭს ერთხელ კიდევ მიხედა, რომ მუშტი იწვევებინა.

ბიჭი აღარც მაკას უყურებდა, აღარც ზურიკოს, გარეთ იცქირებოდა.

მაკამ ჩანთა მერჩხში შეინახა, ხელები უკან შემოიწყო, სა-ზურგავს მიეყვანა, შეამოწმა, როგორ მოეწყობინა ახალ მერჩხს... მიეწონა და კმაყოფილმა გაიღიმა. შემდეგ კლასს მო-აველი თვალი. ყველაფერი ახალი იყო: დაფა, მასწავლებლის

მაგიდა, სკამი, მერჩხები, ჰაერიც სულ სხვანაირი იყო, საღე-ბაგებისა და გარედა შემოჭრილი შემოდგომის სურნელი გაეცვლილიყო. მისი თანაკლასელებიც შეცვლილიყვნენ: უფრო გამაღლებულიყვნენ, მზე მოჰკიდებოდათ. თვითონ ზურიკიც გვირონად იყო გარუჯული. ახლა ის ამრეზილო იჯდა. მაკამ ფრთხილად შეას მხარზე ხელი და თავისკენ მოაბრუნა.

- რა იყო, ზურიკო, რა გაწყენინე ასეთი?
- კმ, ვითომ არ ახსოვს!
- რა გწხა, რომ აღარ მახსოვს?
- ჭკუი რომ მიწოდეს, არ გახსოვს?
- ცე სიტყვა მაშინ პირველად შენ იხმარე.
- თუ შენ მოვივლა თავში და მაშინვე ტყვიასავით მომახალე!
- ზურიკო, რამდენი ტყუილი გისწავლია! გაიხსენე!..
- ყველაფერი მახსოვს.

ის ამბავი კი, რის გამოც ზურიკო მაკას შემოსწყრა, ასე მოხდა: მაკა ოქტომბრელთა ვარსკვლავის ხელმძღვანელი გახლდათ. ერთ დღეს ზურიკოსთან მივიდა და სთხოვა, სამ-წყობრო სიმღერების დათავაღიერების დღისათვის ვარსკვლავი მზადა შეეს, ვარჯიშს დაესწარი და შეაფასეო. ზურიკო რაზმის საბჭოს თავმჯდომარე იყო, ხომ უნდა სცოდნოდა, მისი რაზმის პიონერი, როგორ მუშაობდა პატარებთან? მაშინვე დათანხმდა, დანიშნულ დროს სკოლის ეზოში მოვიდა.

მაკას ბრძანებულ ოქტომბრელთა ათეული მწყობროში დად-გა. მარჯვნივ, მარცხნივ და ზურგისაკენ უშეცდომოდ ბრუ-ნადგნენ, ვარსკვლავს დაბიჯებდნენ, სალაშქრო სიმღე-რებსაც ომსიხანად მღეროდნენ. დათავაღიერება რომ დამ-თავრდა, მაკამ ზურიკოს ჰკითხა: როგორ მოგეწონია.

- ცოტა არ მომწონს, — მოუფო ზურიკომ.
- მაკა, ციოქის ცივი წყალი გადაახსესო, შეკრა.
- ცუდად არიან მომხადებელი?
- შენი ოქტომბრელები, ნუ გეწყინება და, ჭკუები-ვით დადიან.

ამას კი აღარ მოელოდა ვარსკვლავის ხელმძღვანელი. კი-ნალამ ატრდა. იქნებ მართლა ვერ შეძლო ოქტომბრელთა ისე მომხადება, რომ დათავაღიერებაზე საჯაროდ გამოეყვანა, მაგ-რამ პატარების დამცირებასა და სასაცილოდ ავღმბას არავის აპატებენ, არც ზურიკოს შეაჩერეს. რას ჰქვია „ჭკუებივით“? მაკას სახე ყაყარისავით წამოშარბილა.

— ჭკუი შენ თვითონა ხარ! — თქვა და გატარდა.

სწორედ მაშინ გადაწყვიტა ზურიკომ, მაკასთვის ხმა აღ-არ გაეცა. მეოთხე მეოთხედის ბოლო დღეები ისე დამთავ-რდა, ხმა ერთხელაც არ გაუცია, არც მაკა გამოლაპარაკებია, მერჩხე უმჯებოვით ისხდნენ, ბუკითაბაში ვინ ვის აჯობებ-და, არაფერ იცოდა.

უკანასკნელი დღის ბოლო გაკვეთილზე ზურიკოს გულმა ვერ გაძლო, რვეულის ფურცელზე ორიოდ სიტყვა დაწაპა-ნა — ამ ზაფხულს სად აპირებ არდაღებების გატარებასო, და ფურცელი მაკასკენ გააცოცა. პასუხიც მალე დაუბრუნდა, იმავე ფურცელზე ეწერა: ან კიკეთში, ან ქვიშეთში, ან რაჯე-შიო. ეგ იყო და ეგ. ზაფხულმა ისე გაირბინა, ზურიკოსთვის წერილი არ მოუწერია, შარშან ეკ ქვიშეთიდან ერთ თვეში სუთი წერილი გამოუგზავნა, ბანაკის ამბებს უყვებოდა.



„იმაზე ღიღი სიბრძნე რა უნდა იყოს, მეგობარს რომ გა-
ებუტებო!“ — ფიქრობდა ზურიკო.

უმძრახობაში ზაფხული ძლიერძლივობით გაილია. აგერ, სექტემბერმაც მოატანა და ზურიკო ჩუმი სიხარულით ელოდა მაკასთან შეხვედრას. უთენია ადგა, ზეზურედან წაისაუშმა და სკოლისკენ გაიქცა. კანტიკუნტად სხვა ბავშვებიც გამოჩნდნენ. რამდენიმე წუთში ახალი სკოლის ეზო მოჭრიამულე გოგო-ბიჭებში აივსო. მოვიდა მაკაც, თან ქოთნით ცისფერთვა-ლა ყვავილი მოიტანა, ზურიკოს შორიდანვე გაუღიმა და ახა-ლა სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. ის კი... იმის ნაცე-ლად, თვითონაც მისაღმებოდა, იმ ოხუნმა საიჯიუტემ შიგ ქე-როში ჩაავლო ხელი და სკოლის სადარბაზოსკენ მიაბრუნა.

იქ წითელმანუღადაფარებული მაგიდა დაედგათ, მის გარშემო მასწავლებლები, მოსწავლეები და კიდევ ვიღაც უცხო, ხალხი იკრიბებოდა. დაიწყო მტრინგი ჯერ სკოლის დირექტორმა ილაპარაკა, მერე ერთმა მობოლმა, შემდეგ პირველკლასელმა ბიჭუნამ. ზურიკოს ისეთი სახე ჰქონდა, კაცს ეგონებოდა, ერთი სიტყვაც არ ეპარებო, სინამდღელიწი კი არაფერი გაევე-ბოდა, თავის თავზე მოსდიოდა გული, ენა მუცელში რამ ჩაუდო, ვერა და ვერ გასცა პასუხი მაკას. ეს რა დამარ-თა? თუმცა ახია მაკაცე, მიხვდეს, რომ ზურიკო წყენას აღ-ვილად არ იფიქვებს. მაკამ კი, ვითომც არაფერი, იქნებ ზურიკოს სმენამ უღალატაო, ტუჩები ყურთან მიუტანა და როგორა ხარო, ისე ჰკითხა, ყრუც კი გაიგონებდა.

— მაღლობელი ვარ, — ცალყბად წაიბურტყუნა ბიჭმა. კიდევ კარგი, ამ დროს ზარი დაირეკა. ყველა სადარბაზოს მიაწვდა და ყმაწვილების ტალღამ ზურიკოსც გაიტაცა.

ზურიკომ სკოლის ფართო დერეფანი ჩანისთი ქვევით გაი-ბინა და ზედა საართლის კიბეს აუყვა, იცოდა, სად იყო მემქმე „ა“ კლასი, ჩკარობდა, სხვებისთვის მიესწრო და ფანჯარასთან დაკავებინა ადგილი. თავისუფალი მერხი რომ მოიხელთა, ისე განაპირდა, თუ არ გაიწვევდა ფანჯრისკენ, სხვა ვერავინ დაჯდებოდა, თუმცა სხვას იქ რა უნდოდა? სა-ცაა, თავისი ქოთნით მაკა უნდა მოსულიყო... მერე კი თქვენ უკვე იცით, როგორ მოხვდა მაკა ზურიკოს გვერდით.

კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები შემოვიდა.

ქუქუნა მასწავლებელმა სია ამოიკითხა უცნობი ბიჭის გვა-რი არ უსვენებია, ზურიკოს კი ძალიან უნდოდა გაეგო, ვინ იყო, სადაური, საიდან მოვიდა მათ სოფელში.

— ჩემი გვარი არ ამოვიკითხა, მასწავლებელო! — ფეხ-ზე წამოდგა ახალი.

— რა გვარი ხარ? — ჰკითხა ქუქუნა მასწავლებელმა.

— გვარლიანი.

— სახელი?

— თემური, პაკიეცემულო მასწავლებელო!

— სადაურია? — წასჩურჩლა მაკამ ზურიკოს.

— იცი რა, მაკა, იმ მეტიჩარას გვერდით ადგილი თავი-სუფლია, იქნებ გადასკუპდე?

— ზურიკო, — ნაწყენი ხმით წაიჩურჩლა მაკამ, — რო-გორ არ გრცხვინია!

— ჰკითხე, შეიძლება მარსიდან ჩამოფრინდა, იქაურ ამ-ბებს ჩამოიტანდა.

მაკამ დუმილი არჩია.

ქუქუნა მასწავლებელმა გრამატიკის წიგნი გადაშალა...

გაკვეთილების შემდეგ მაკამ ზურიკოს უთხრა, ეზოში მო-მიცადე, შინ ერთად წავიდეთო, და თავისი ყვავილით ბოტა-ნიკის მასწავლებელს უკან გააკყვა.

ზურიკომ ეზოში შადრევნის ახლოს ამჯობინა მოცდა, თან წყალსაც დაღვეო. წყურვილი მოიკლა და, როცა თავი მაღ-ლა ასწია, გაოცდა: წინ თემური ედგა.

— ცოცა? — იკითხა თემურმა.

ზურიკოს უნდოდა უკმეხად ეპასუხა, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან თემური ისეთი კეთილი სახით იდგა, ისე მეგობრ-

ლად უდიობდა, რომ დღევანდელი წყნა უცებ გადააწვიწყდა და მასაც სახეზე ღიმილა გადაურბინა.

— ცივია!

— აბა, ვნახო! — თემური წყალს დაეწავა, ხანაბად ყლაპავდა. ზურვიოს ისე მოეჩვენა, თითქოს განგებ დიდხანს სვამდა, იქნებ იმიტომ, რომ მისთვის ეჩვენებინა — აი, ნახე, შენს მიწინებულ წყალს რამდენს სვამო. კარგად რომ გაიჭყია, ტურნები ხელის ზურგით შემომშრალა და თქვა:

— უუ, რა ცივია, კბილები გაიყინა!

— ხომ ვითხარი! — გაუსარდა ზურვიოს.

— ზაფხულშიც ასეთია?

— მა რა, ზაფხულშიც. ეს ხომ მთიდან მოედინება. წამომყვი! — ზურვიომ თემური სკოლის შენობის უკან გააქცხანა, გიშობრის მთებისკენ გაახედა, — აი, იმ უნარიან მთას ხომ ხედავ, ამ ზაფხულს ეს წყარი იქიდან გამოვიყვანეთ.

— მართლა?! — გაუკვირდა თემურს.

— სულ ჩენი სკოლის მოსწავლეების სელით გაგებდა, ორმოცდასამი ვიყავით. ორ კვირას დავდიოდით თხრლის გასატრულად, მიღვინც ჩვენ ჩავაწყვით. და ასლა სკოლის ეზოში მუდამ გაეჭებ წყალი. ძველ სკოლაში კი ოცნანი უფრო ხშირად მშრალი იყო. სულ წყალს ეწიოდით, პატარები უფრო მეტად, ხომ იცი, როცა არ არის, მაშინ უფრო მოგეძალევა წყურვილი.

— შიმშილიც! — ჩაურთო თემურმა. — მაშინ თქვა, ომის დროს ერთ ჯერზე, ნება რომ მოეცათ, ერთ ფურნის პურს შეეჭამდი, ისეთი მადა მქონდაო. მაშინ მტანჩემი ჩემოდენ ყოფილა, იმისი კი არა.

— მეც გამოეონია მამაჩემისაგან, — დაემოწმა ზურვიო. — თუცა ამ ზაფხულს შირაქში, კოლმურერუბას მოსავლის აღებაში არი მემეგელოდით, ბიჭებს, იცი, რა მადა გვექონა? ჭამით ვერ ვძლებოდით. დღეაჩემი ამბობდა: ბიჭო, მასეთი მადა შინ რომ მოგცა, რა დამაღიწმნებაო.

— დედა მეც მემედურის, ჩიტკონი ჭამა იცისო.

ბიჭები უკან გამობრუნდნენ.

— როდის ჩამოხვედი ქალაქიდან? — ჰკითხა ზურვიომ და ეზო მოათვალიერა. მაკა არ ჩანდა.

— გუშინ.

— არ გეადრდება?

— რისა?

— ამხანაგებები!

— როგორ არა. მამა სამუშაოდ აქ გადმივიყვანეს, მილიციის ინსპექტორია. სადაც მამა, მე და დედაც ხომ იქ უნდა ვყოფი. ამხანაგებს წერილებს მიცურ. დილას მაკას მერხზე რომ არ სვამდი, ვფიქრობდი, ეს რა ამხანაგობაა, თანაკლასელებისთვის ადვილი არ ემეტებოდა-მეთქი.

— ვფიქრობდი, ბიჭო, თორემ როგორ არ ემეტებოდა...

— თბილისში ჩემს გვერდით თვა იჯდა.

სკოლის სადარბაზოდან მაკა გამოვიდა და ბიჭებისკენ გამოსწია. ორივე ერთად რომ ნახა, გაუსარდა:

— თქვენ უკვე დამეგობრდით? რა კარგია!

— ჰო, დამეგობრდით, აბა რა გვექონდა გასაყოფო! — მიუღო ზურვიომ და თემურს გაუცინა.

სკოლის თეთრად მოჭოტათე შენობა შორიდან შეათვალიერა და ამოიხარა:

— ძველი რომ მივატოვეთ, თითქოს გულს რაღაც მაქლანა.

— მეც, — თქვა ზურვიომ.

— მიდი, ვნახით, — უთხრა მაკამ. — თემურ, შენც წამოხვალ?

თემურმა თავი დაუქნია:

— წამოვალ.

ძველი სკოლა სოფლის ბოლოს ხეხილნარში იყო ჩაკარგული. მის იქით ვენახები და ბაღები იწყებოდა, უფრო შორს ფერადი ფერდაგივით მიხატულ-მისატული ალანის ველი დაფენილიყო.

შორიდან მარტო სკოლის ვანისფერი, ალავ-ალავ გუდრონი თ საკვებადგულად დაკვეთილი თუნუქის სახურავი მოჩანდა. ერთსართულიანი, ძველმური შენობა იყო და ბაგ-შეგბსაც იმ ცვლად უძებნოდით მეტადინებოდა. აბიტომ ასალი სკოლის ამქნება გადაწყდა. სულ მალე ოთხსართულიანი სკოლა წამოიჭნა. ძველი სკოლიდან სკამიც კი არ წამოთლიათ, ასალი სკოლისთვის ყველაფერი ასალი შეიძინეს.

ყმაწვილებმა მთავარი გზა გადაკვეთეს და ხეხილით დაბურულ რიყთან ორღობე დაუყვეს. ოციოდ ნაბიჯი რომ გაიარეს, ძველი სკოლის შენობაც გამოჩნდა. იდგა სვედისმომგერელი, მიყრუებული და ვალომხდილი.

მაკა და ზურვიო თემურს თავიანთი საკლასო ოთახისკენ გაუძღვნენ. კლასი გამოცარიელებული დახვდათ მერხები, მასწავლებლის მაგიდა, დაფა გარეთ გაეტანათ. ერთ კუთხეში შარშანდელი ოეზორისტული კედლის გაზეთი „ვკაპუტრი“ კვიდა ცალი ყურით.

— აქ იდგა ჩენი მერხი, — თქვა მაკამ და ფანჯარასთან მივიდა. იქიდან ეზოში გაიხედა. კალათბურთის მოედანზე ძველი სასკოლო ინფორმარია მოსავით აესროხლათ, შორიანლო ვიღაც უცხო ბიჭი იდგა და ათვალთერებდა.

— იქ ვიღაც არის! — წაილაპარაკა მაკამ.

ფანჯარასთან ზურვიო და თემურიც მივიდნენ.

უცხო ბიჭი ერთმანეთზე მიყრილ მერხებში გაუჩინარდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა. წუთით ჩაფიქრებული იდგა, შემდეგ „მთას“ მერხე მხრიდან შემოუარა.

— რაღაცას ეძებს! — თქვა თემურმა.

— წამოდი, გავივით, იქნებ რამე დაკარგა. — შესთავაზა ზურვიომ.

სამივე კალათბურთის მოედანზე გავიდა და ძველ ინფორმარის მერხე მხრიდან შემოუარეს. ბიჭი იქ დახვდათ. თანატოლები რომ დანიანს, შუკრთა, რატომღაც უგემურად გაიღმა და დამტკბონილ შარვლის ფერისთვის დაიწყა.

— როგორ მინდოდა მეპოვება! — თქვა ის, რომ მალდა არ აუხედავს. უსვამდა და უსვამდა ხელს შარვლის ტოტს.

— რა დაკარგე? — ჰკითხა ზურვიომ.

— ჩიტი! ჩიტი გადმომიფრინდა.

— ჩიტი?

— უნდა დამეჭირა. — ბიჭმა შარვალს თავი ანება და განადრდა: — თვალსა და ხელს შუა გამიფრინდა. აი, ასე, ფრრრ! და წავიდა.

ზურვიოს მოეჩვენა, რომ ბიჭი ტყუოდა. ცარიელი ხელე

6 ყმაწვილები სოფლის გზაზე გამოვიდნენ. მაკა მობრუნდა,

გით როდის იყო, ჩიტს იჭერდნენ. ის ბიჭთან ახლოს მივიდა, თვალბეში გამოცდელად ჩახედა.

— სადაური ხარ?

ბიჭმა ხელი დასავლეთით გაიშვირა.

— იმ სოფლიდან.

— ჩალიანიდან?

— ხო!

— ჩვენს სოფელში რანაირად მოხვდი იმ შენი ჩიტინად?

— ბიძაშემთან ვიყავი, ჩიტით იმან მაჩუქა!

— ვინ არის შენი ბიძა?

— გიორგი ჭქვიანი!

— გვარიც ვეცოდინება, თორემ ჩვენს სოფელში ას კაცს მაინც ერქმევა ვგ სახელი.

ბიჭმა განაწყენებული სახე მიიღო.

— რა გინდა, რას ჩამატყვდი, ვა!

— გვარი მითხარი ბიძაშენისა-მეთქი!

— თავი დამანებე! — ბიჭმა წასასვლელად გაიწია.

ზურიკომ ჩანთა მაკას მიაჩრქა და ბიჭს წინ გადაუდგა.

— გამიშვი!

— თქვი, რა გინდა აქ, რას ეძებ და გაგიშვებ, — უთხრა ზურიკომ.

ბიჭი არც ისეთი ჯაბანი ჩანდა, რომ მაშინვე გადმოეღებინა ყველაფერი, სიბრაზით წამოწითლებულმა მოწინააღმდეგეს ხელზე ხელი სტაცა და თვალეში დააკეცა.

— გეონია, შემაშინებ?

ეტყობოდა, მუშტი-კრივი გაიმართებოდა. ყოველი შემთხვევისათვის თემურმაკ მაკას მისცა თავისი ჩანთა და ზურიკოს ამოუდგა გვერდში.

ჩალიანელი მიხვდა, რომ გაუძალიანდებოდა, ორივესთან ვერაფერს გაეძღებოდა, ზურიკოს ხელი შეუშვა და შემრიგებლურად თქვა:

— კარგი. ეტყვი. მერხს ვეძებ.

— მერხს?! — იკითხა დაეჭვებით ზურიკომ.

— ხო, მერხს.

— ისევ გინდა, მოგვატყუო?

— დედას გეფიცებით, სიმართლეს ვამბობ, — ბიჭმა ისე დაიფიცა, ეტყობოდა, მართალს ამბობდა.

— გეთქვა მაგრე! — გაიციხა მაკამ.

— ეგ რა დასამალი იყო! — გაუკვირდა თემურს.

— ხომ ვითხარით, ახლა წაველა! — სთხოვა ბიჭმა.

მაგრამ ზურიკო ისევ დაეჭვებული უკურებდა ჩალიანელს.

— რა მერხს ეძებ?

— ვურ გეტყვი! საიდუმლოა.

— მით უმეტეს, თუ საიდუმლოა! ეგ რომ არ გეთქვა, შეიძლება გავგვეში.

ბიჭმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— არ შემიძლია!

— შეგიძლია! თქვი, თორემ სულ ერთია, არსად არ გაგიშვებო.

ჩალიანელმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

— ეჰ, რაც არის, არის, გეტყვი! ის მერხი უბრალო არ არის, მისი პატრონი დიდ სამამულო ომში მოხალისედ წავიდა ფრონტზე, მეთაურ კლასი არც კი დაუმთავრებია, წავიდა და გმირიც გახდა.

— გმირი?! — შესძახა ზურიკომ და თვალეში გაუფართოვდა.

— ყური დამივლეთ, — ჩალიანელმა ჯიბიდან გაწვირა ამონაჭერი ამიილო და კითხვა დაიწყო:


„1944 წლის შემოდგომაზე უკრაინის მეორე ფრონტის ჯარები უნგრეთის ტერიტორიაზე სასტიკად უსწორდებოდნენ მტერს. ამ ფრონტზე იმყოფებოდა გვარდიული მსროლერი დივიზიის პოლი, რომლის ერთ-ერთ ასეულს წითელი ვარსკვლავის ორი ორდენის კავალერი, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი, კომუნისტი გიორგი პაპუაშვილი მეთაურობდა.“



აწი ვერვინ ვერ შეგვიცვლის
გზას და მიზანს, მზუდ დასასულს,
ყური მივდეთ, ახლა გეტყვით
თუ რა ვნახე მე ამ ზაფხულს

ქართლი

მხარე — მშობელი
ოდითან ნათლის!..
აბლტებულა კორღზე მოცხარი, —
მსცოვანი, მაგრამ ჭაბუკი ქართლი,
მარად მოქმედი, მარად ცოცხალი.
ბლებს ჩახლართვია ხეჩია თუთები, —
ლაწმუფუცკულან ბაღში ატმეში.
მიწავე, ბავშვივით გესაათუები,
მხარვე, ტრფობის და ანდამატების
ვერვინ გახობა შენი ნახტომი, —
ვერ დაგაძალეს თაფლი ველური, —
სულს გიწეწავდა ომის ფანტომი, —
გთელავდა მტერი გადარეული.
და მაინც დარჩი
სინათლის ქართლი,
შენი ბაღრები მზით იკოცნება, —
ტანზე გეგმევა სიმწევანის კვართი,
როგორც ბუნების პატკოსნება.



ლილარ იხარაძე

• • •

მე ამ ზაფხულს მოვიარე
საოცნებო ჩემი მხარე, —
ბაღი ვნახე მსხმოიარე —
სამშობლოო, გაეხსარე.
კრთება, ბრწყინავს იავუნდად
ამიერი, იმიერი!
აყვავდა და აღორძინდა
ჭირანასული ჩემი ერი.
დღეს კი ვფიქრობ — გაიხსენო
ის წარსული — ძნელი არის, —
ყური უდგე: ძნელბედობას
რეკავს, გვამცნობს დედო-ზარი!
დედო-ზარი, — ქართლის ზარი
აზუსუნებს ომის სახრეს,
ივერიის ფუძე-კარი
თითქოს მტერთა მასვილს ამსხვრევს.
რა ურიალებს? ახლა ქარი
თითქოს შურის ზარადია!

ჩვენი ხმალი,
ჩვენი ფარი
ფოლადი და მარადია.
ყველა წუხილს, ურვას, დარდებს
შენ ვეაშორებ, დღეო ნათლის.
ახლა ვიცი, სხივთა ბადეს
როგორა ქსოვს ჩვენი ქართლი.
ქსოვს რაჭა და იმერეთი,
კახეთი და სამეგრელო, —
ვის ეგონა, იმღერებდი,
ამ ძანებზე, ჩემო ერო!
ეს გზა ახლა ნათელია,
მზემ ღრუბელთა შგავი მოსპო,
და დღეს ტრფობის ჩანჩქერია,
რომ მექუხარებს დედა-მოსყოფს.



საბჭოთა ჯარებმა ქ. ბუღაბეშტში რკინის მარწუხებში მო-
აქციეს ჰიტლერელთა შენაერთების დიდი დარჯუფება. გარე-
მოცული მტრის სარდლობა, მიუხედავად გამოუვალი მდგომარე-
ობისა, ჯიუტობდა და არ ნებდებოდა.

დაიწყო გადაწყვეტი ბრძოლები ბუღაბეშტის გასათავი-
სუფლებლად. ქალაქის სამხედრო ობიექტებს ათასობით ქვეშე-
ხი და ასობით თვითმფრინავი აყრიდა ტურფებს. საარტილერ-
ო მომზადების შემდეგ ქალაქის გარეუბანში ქვეითი ჯარი
შეიჭრა, გერმანელებმა ყოველი სახლი ცინე-სიმაგრედ აქციეს.

ბუღაბეშტის მისაღვომებთან ვარაღებულ ბრძოლებში აქტი-
ურად მონაწილეობდა გიორგი პაპუაშვილის ასულიც. სარ-
დლობის დაგალებით ასულმა მტრის არაერთი გამაგრებულ

ზღუდე აიღო და ხელი შეუწყო პოლკის იერიშების განვითარებას.

პოლკი ბალატონის ტბის მიდამოებში იბრძოდა. ქალაქ სე-
კემფეხევაართან გერმანელები შეტევაზე გადავიდნენ. გიორგი
პაპუაშვილის ასული პოლკის სხვა ქვედანაყოფებთან ერთად
დიდხანს სასტიკი ბრძოლებით აკავებდა მტრის ჭარბი ძა-
ლების გააფთვებულ იერიშებს. ამ მძინევაურ ბრძოლებში
1944 წლის ოთხ დეკემბერს მამამათა სიკვდილით დაეცა
გვარდიის უფროსი ლიტენანტი გიორგი პაპუაშვილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის
24 მარტის ბრძანებულებით გიორგი პაპუაშვილის სიკვდილის
შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ჩალიანელმა ბიჭმა კითხვა დაამთავრა. ირვლივ დემოლი
ჩამოვარდა. ის, რაც ჩალიანელმა წაიკითხა, არც ზურკოსთ-

ციალებს ფერი ლაღის და ქარვის, ამ ფერებს ბაღი როგორ მალავდა? — დაუდგეს ავთავლს ორთავე თვალი, პაპა მხარეს ღია მარანთან. მენს ყველა მიზანს ცისკარი კვეთავს, აყვე შეცამდე მზის სხივთა ბაწრებს, — მენს გორის ციხეს, არმაზს და მცხეთას სულ განახლების ტალღები არწვეს. ქართლი!

დღეს ყველგან, ყველგან განთქმული — ხო ძნელბედობის ჩანებებს უკრავდა, — ხომ სიმდიდრეა ენა ქართული, ასე ძველი და მარად უკვდავი.

ახლა დედა რკინის ქსოვილის. ფოლადის ლავა — დელვატეხილი, შრიალებს, როგორც ქარში ხეხილი.



საკვირველება ხშიერი, — მზეს მოხელოდა ვენახი, კახეთზე უფრო ხშიერი, უფურტრების ჯართს დღულა გადსაფლული ბაღები, — ვიდრე და... დასტურ, მეგონა, ჯადოსნურ სივრცეს ვაღებდი. გულსკაცის სიბრძნეს ვისმინდი ალავერდსა და იკალთოს, ხონიბაჯი კი არჩივებს თითქოს შეცემა მიჰყავთო, ისე მოსჩანდა!

და, როცა ვინილე გულით ყოველი, მე ისევ ასვნი დავლოცე, გარჯა დაუღუღელ მშრომელის. ეს ალაზანი, პო, მალე ახალ ზერებს აპბრდღვიავებს, ლურჯი არხებით მოურჩენს ვეღებს დაუთვლელ იარებს. საქართველოს ეს მხარე კართის, როგორც ოქროს მტევანი, — სიკეთე ვის არ ახარებს ცისაქვემ დელტეგარი!

**რუსთავი —
ქართველ
ხალხთა
ქერა**

რწმენა? — ეს ჩვენ ვართ განძის მფლობელი! — რუსთავს — რწმენაც და საგალობელიც. თბილისთან ახლოს, კრწანისთან ახლოს, ფოლადის ქერა ახლა რომ სახლობს, დაბადებიდან ცოტა წლებს ითვლის, ქალაქი შრომის, ძიების, რიტმის. უწინ აქ იყო ბოსტან-ქალაქი, ის მტევნა მოსოხო ცეცხლით, დლატით. ახლა რომ ისმის?! დელვა-გრიალი? — რუსთავი ისევ სიმარე არი! მიწა ქართველთა ჭირგამოვლილი,

მარტენის ღუმელს პულსი აქვს თითქოს, თრთოლვას იწყებს და... იღვრება სითბოდ. ფოლადს ვანდობდით ჩვენ ქებულს ძველად, — დღეს რუსთავია ხალხთა ქერა! შევხარით ქალაქს, ფოლადის ქალაქს, და ქართველ მშრომელს, მის აზრს და ძალას!

კახეთი

სიზმარია თუ მართალი აფორაჯებულ სახეთი, — კრთის ფერთა დიდი მხატვარი — ალაზნის ველზე კახეთი. ციციგამბორიდან რა ვნახე?

მხატვარი ვ. ფოცინაშვილი



ვის და არც მაკასთვის ახალი ამბავი არ იყო. მათ სკოლაში ყველა ბიონერი მოვიყვებოდათ გიორგი პაპუაშვილის შესახებ. ყველა იმითმ, რომ გვირი მათი თანასოფელი იყო. მათ სკოლაში სწავლობდა და დიდ სამამულო ომში ათას ცხრაას ორმოცდაერთი წლის ოქტომბერში მოხალისედ წავიდა. მაგრამ რისთვის უნდოდათ ჩალიანელუმს გმირისეული მერხი? პირდაპირ კითხვას ზურგიკომ შორიდან ფრთხილად შემოვლა არჩია. საჭირო იყო ბიჭის ნამდვილი სახელის გაგება და ჰკითხა, რა გქვიაო.

— მიტო! — იყო პასუხი.

— მერე, მიტო, საიდან გაიგე, რომ გიორგი პაპუაშვილი ამ სკოლაში სწავლობდა?

— სულ უბრალოდ. ჩვენი ბიონერული რაზმი იბრძვის, რომ გმირის სახელი მიგუკეთნოს.

— რაღა მაინცდამაინც ჩვენი გმირით დანიტერედით? — იკითხა მაკამ.

— გიორგი პაპუაშვილი მარტო თქვენი გმირი კი არა, ჩვენიც არის, ჩალიანელუმის! დედამისი ბაბალე ჩვენებურია, ჩალიანშია დაბადებული, ფანიანში გამოთხოვილა და ომის მერე, როცა აღარავინ დარჩენია, ისევ ჩალიანში, დის ოჯახში გადასახლებულა. ახლაც იქ ცხოვრობს, ჩვენ მასთან ხშირად დადვიდვართ. გიორგის მოწაფეობის წლებზე ბევრი უამბუნია, გმირისეული მერხის შესახებაც იმან გვიამბო. თურმე გიორგი მერვე კლასში ყოფილა, თავისი მერხის კალთაზე, ქვევიდან დანით ინიციალები რომ ამოუკვეთია.



საქართველოს სსრ ეროვნულ- სახელმწიფო და კონსტიტუციულ- ტერიტორიულ წყობილება

წიგნი მეორე

ეროვნულ-სახელმწიფო წყობილებას საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციაში დათმობილი აქვს მესამე კა-
ნი (თავი 7-9).

სახელმწიფო წყობილების ცნებაში იგულისხმება ან ერთი სახელმწიფოს ფარგლებში სხვა სახელმწიფოებ-
რივ ერთეულთა არსებობა და მათი ურთიერთდამოკიდე-
ბულება, ანდა მარტივი (უნიტარული) სახელმწიფოს არ-
სებობა, რომელშიც არ შეიძლება სხვა სახელმწიფოებრივი
ერთეულები. სახელმწიფო, რომელიც ასეთ სახელმწი-
ფო ერთეულებს აერთიანებს, რთული ანუ გაერთიანე-
ბული სახელმწიფოა.

საბჭოთა სახელმწიფო წყობილების ფორმაა საბჭოთა
სოციალისტური ფედერაცია, ხოლო საბჭოთა ფედერა-
ციის უმაღლესი სახე — საბჭოთა სოციალისტურ რეს-
პუბლიკათა კავშირი, რომელშიც, როგორც მოკავშირე
რესპუბლიკა, გაერთიანებულია საქართველოს სს რეს-
პუბლიკაც.

საბჭოთა საქართველო იშვა 1921 წლის 25 თებერ-
ვალს. 1922 წლის 12 მარტიდან იმავე წლის 13 დეკემბ-

რამდე იგი შედიოდა ამიერკავკასიის ფედერალურ კავ-
შირში, 1922 წლის 13 დეკემბრიდან 1936 წლის 5 დე-
კემბრამდე — ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერა-
ციულ საბჭოთა რესპუბლიკაში, და მიერ შექმნილი
1922 წლის 30 დეკემბრიდან — სსრ კავშირში. 1936
წლის 5 დეკემბრიდან კი იგი საბჭოთა კავშირში შედის,
როგორც დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკა.

საქართველოს სსრ ახალი (1978 წლის) კონსტიტუცი-
ის 68-ე მუხლით „საქართველოს სს რესპუბლიკა არის
სუვერენულ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო“. აქვე
მითითებულია ისიც, რომ საბჭოთა საქართველო
სხვა სოციალისტურ რესპუბლიკებთან ერთად გაერთიან-
ებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირად — ერთიან საკავშირო მრავალეროვნ სახელმწი-
ფოდ.

კონსტიტუცია აკანონებს საკავშირო სახელმწიფოს
შექმნის მიზანს, ეს არის: კომუნისტური საზოგადოების
შეყენებლობა, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური
ერთიანობის განმტკიცება, უშიშროებისა და თავდაცვის
უზრუნველყოფა. ამავე დროს, კონსტიტუცია ითვალის-
წინებს საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანების ლენინ-
ური პრინციპებს: ერების თავისუფალ თვითგამორკვე-
ვას, ნებაყოფლობას და თანასწორუფლებიანობას.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა სახელმწიფო წყობილ-
ებისათვის დამახასიათებელია ეროვნული საკითხის გა-
დაწყვეტა. ამ მიზანს ემსახურება საკავშირო მრავალ-
ეროვნო სახელმწიფოს არსებობა, საბჭოთა ფედერაცი-
ის არსებობა. „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი ქვეყნის
წინათ ჩაგრული ათობით ერი და ეროვნება გადაიქცა
ნამდვილად თანასწორუფლებიან ერად და ეროვნებად,
ისინი ცხოვრობენ ხალხთა ერთსულვან ოჯახში და წარ-
მატებით ავითარებენ თავიანთ ეკონომიკას და კულტუ-
რას“ — განაცხადა ლ. ი. ბრენცემა ამერიკის ტელევი-
ზიით 1973 წლის ივნისში.

საბჭოთა კავშირი მოკავშირე საბჭოთა სოციალისტუ-
რი რესპუბლიკების ტერიტორიათა და მოსახლეობის
ერთიანობაა, სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის
75-ე მუხლში მითითებულია, რომ „საბჭოთა სოციალის-
ტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორია ერთიანია
და შეიცავს მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიებს.

სსრ კავშირის სუვერენიტეტი ვრცელდება მთელ მის
ტერიტორიაზე“.

სსრ კავშირი შექმნილია ხელშეკრულების საფუძველ-
ზე. მისში გათვალისწინებულია საკავშირო სახელმწი-
ფოს სუვერენული უფლებები, რომლებიც თანაბარ და
ნებაყოფლობით აქვს ვადაცემული მოკავშირე რესპუ-
ბლიკებისა.

საკავშირო სახელმწიფოს ამ უფლებებზე ლაპარაკია
სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის პირველ, 1936
წლის კონსტიტუციის მე-14 და 1977 წლის კონსტიტუ-
ციის 73-ე მუხლებში. დასახლებული კონსტიტუციებით
დადგენილია ისიც, რომ ამ მუხლებით გათვალისწინებ-
ული უფლებების გარდა, ყველა დანარჩენ მოკავშირე
სს რესპუბლიკები ახორციელებენ დამოუკიდებლად, და
რომ სსრ კავშირი დღაცემ მოკავშირე რესპუბლიკათა
სუვერენულ უფლებებს. მაგალითისათვის მოკავშირე
სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის მე-3 მუხლი. რომ-
ის მიხედვითაც „მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენი-
ტეტი უზღუდულია მხოლოდ ამ კონსტიტუციით გათ-
ვალისწინებულ ფარგლებში და ამართლებენ იმ საგანთა
სფეროში, რაც მიეკუთვნება კავშირის კომპეტენციას,

აღნიშნული ფარგლებში გარეშე თითოეული მოკავშირე რესპუბლიკა დამოუკიდებელი განახორციელებს თავის სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას; საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დაიცავს მოკავშირე რესპუბლიკათა უფეროვნულ უფლებებს.

ანალოგიური მუხლები გვხვდება სსრ კავშირის მომდევნო კონსტიტუციებშიც; საქართველოს სსრ ახალი, ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 68-ე მუხლის ბოლო ნაწილში ვკითხულობთ, რომ „სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლში აღნიშნულ ფარგლებში გარეთ საქართველოს სსრ დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე“.

ამავე დროს, საქავშირო სახელმწიფო ისე ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ უფლებებს, რომ ამით იცავს მოკავშირე რესპუბლიკების ნება-სურველს, მათ სუვერენიტეტს; თავის მხრივ კი ყოველი მოკავშირე სს რესპუბლიკა მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მშაროველობის უშლადესი უზრუნველბის სახით უზრუნველყოფს სსრ კავშირისათვის თვანებებს, რომლებიც განსახლდებოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით.

ხელშეკრულება სწორედ ასეთ ორმხრივ პასუხისმგებლობაზეა დამყარებული. აქ შეხამებულია საქავშირო სახელმწიფოსა და მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესები, უზრუნველყოფილია სსრ კავშირში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების შემდგომი აყვავება, მათი კვდევ ამოცანა დასაბოვება.

ამოცანა სსრ კავშირის, როგორც სოციალისტური ტიპის ფედერაციისათვის, დამახასიათებელია, როგორც საქავშირო სახელმწიფოს, ისე მასში გაერთიანებული წევრ-სახელმწიფოების, ანუ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებებრივ მდგომარეობაში.

საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუცია 69-ე, 70-ე, 72-ე და სხვა მუხლებით, სსრ კავშირის კონსტიტუციის სრული შესაბამისობით, განსაზღვრავს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს; საქავშირო სახელმწიფოში გაერთიანდება და მისგან გასვლის ნებაყოფლობის პრინციპის, ტერიტორიის, მოქალაქეობის, სახელმწიფო ეგრების, დროის, ჰიმნის, ენის, სახელმწიფო ხელისუფლების, მშაროველობის, მართლმსაჯულებისა და პროკურატურის რესპუბლიკური ორგანიზებისა და სხვა საკითხთა გადაწყვეტის უფლებებს; საგარეო ურთიერთობაში „საქართველოს სს რესპუბლიკას აქვს უფლება ურთიერთობა დამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დაუფლოს მათ ხელშეკრულებას და გაუქცილოს დიპლომატიური და საერთაშუალო წარმომადგებლები, მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში“ (მუხ. 76).

საყურადღებოა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 72-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია საქართველოს, როგორც მოკავშირე სს რესპუბლიკის უფლებებრივ მდგომარეობა სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის ფარგლებში გარეთ. ეს უფლებები ვრცელდება საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე, გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ხასიათის საკითხთა გადაწყვეტას, სახალხო მეურნეობის და კულტურის სხვადასხვა დარგის განვითარებას, მეურნეობის დაცვას, ჯანმრთელობის დაცვას, სოციალურ უზრუნველყოფას და სხვ.

გარდა ამისა, საქართველოს სსრ მონაწილეობს სხვა საკითხების გადაჭრაშიც, რასაც სსრ კავშირი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს. ამის შესახებ საქართველოს სსრ კონსტიტუციის 74-ე მუხლში მითითე-

ულა: „საქართველოს სს რესპუბლიკა მონაწილეობს სსრ კავშირის გაშვებლობას მიუთუხებელი საკითხების გადაწყვეტაში სსრ კავშირის უშლადეს საბჭოში; სსრ კავშირის უშლადესი საბჭოს პრეზიდიუმში, მას ვაჭრებთან ერთად მთავრობასა და სსრ კავშირის სხვა ორგანიზებში“.

მოკავშირე სს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებში შედის აგრეთვე თავისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, „საქართველოს სს რესპუბლიკა განსაზღვრავს თავის რაიონულ დაყოფას და წყვეტს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილების სხვა საკითხებს“ — ამბობილია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 73-ე მუხლში. ამიტომაც საქართველოს სსრ კონსტიტუციაში უნდა იყოს არის ჩამოთვლილი რესპუბლიკაში არსებული რაიონები, აგრეთვე რესპუბლიკის დამკვეთებარების ქალაქები (მუხ. 71). კონსტიტუციაში დასახელებული არ არის მხოლოდ ქალაქების რაიონები, რაიონული მნიშვნელობის ქალაქები, სადაბო და სასოფლო საბჭოები. იგულისხმება, რომ მათი მოწყობის უფლებაც რესპუბლიკის კომპეტენციაში შედის.

საქართველოს სსრ უშლადელობაში შედის აგრეთვე ეროვნულ-ავტონომიური ერთეულები: აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამის გამო, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა საქართველო არ არის მარტივი, უნიტარული სახელმწიფო, მაგრამ ავტონომიური ერთეულების მქონე რაოდენობის გამო იგი კონსტიტუციით არც ეფედრაციულ რესპუბლიკად იწოდება.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-8 და მე-9 თავები შეეხება ავტონომიურ სს რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს. კონსტიტუციით განსაზღვრულია მათი უფლებებრივ მდგომარეობა.

ავტონომიური ერთეულები მოკავშირე სს რესპუბლიკების მეშვეობით შედის სსრ კავშირის შემადგენლობაში, ამიტომ მათი უფლებები დიდდება სსრ კავშირისა და იმ მოკავშირე სს რესპუბლიკების კონსტიტუციებით, რომლებშიც ისინი ერთიანდებიან. მათ შორის ავტონომიური სს რესპუბლიკა ასევე საერთო-სახალხო სახელმწიფოა, მაგრამ თავისი ადგილისა და მდგომარეობის მიხედვით არასუვერენული ერთეულია. თუმცა კერძოდ საქართველოს სს რესპუბლიკაში შეშავალი ავტონომიური სს რესპუბლიკები, სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე და საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის 72-ე მუხლების გარეშე, დამოუკიდებლად ახორციელებენ თავიანთ უფლებებს, რითაც ისინი იცვენ ავტონომიური რესპუბლიკის სუვერენობას და თავისებურებებს და ამავე დროს ახორციელებენ საქართველოს სსრ და სსრ კავშირის კონსტიტუციურ პრინციპებს.

რაც შეეხება ავტონომიურ ოლქს, იგი მოქმედებს შესაბამისი კანონით. საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციით „კანონის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ იღებს საქართველოს სსრ უშლადესი საბჭო-ამ ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარდგინებით“.

საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვან საშუალებაა. ამავე ამოცანის ემსახურება საქართველოს ახალი კონსტიტუცია.

პ. ანდრონი,

პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

სომეაღმოსავლური
სამხრეთის
დაცვა
სახელმწიფოს
შინაგარეგანი
დაცვის
განყოფილება
და
მთელი
საზღვის
სამხრეთი.

ს ს რ ა
კონსტრუქციის,
მშენებლის.

ნაგებობა
პენსიონატი



სამხრეთის სამხრეთი...



ლიანა მარგალიანი

1. ბანაობა

რუბი ღრუბლებით დაფარული ცა დღიდანვე მძიმედ ჩამოაწვა ზღვასა და ხმელეთს. მიუბი სქელ ნისლში ჩაიძირა, პირიზონტი ხელის გაწვედნაზე მოუახლოვდა სანაპირო ზოლს. ნაშუადღევს ზღვიდან სუსტმა ქარმა დაუბერა და ნემსის წვერივით წვრილი, გამჭოლი წვიმა წამოვიდა.

სწორედ ნაშუადღევს სირენის გაბმულმა ხმამ ფეხზე დააყენა საზღვრისპირა საცემავოები: სასაზღვრო რაიონში სამი საცემო პირი შეეწინა.

სწრაფად მოსალამოვდა.

შებნდებისას ქარი გაძლიერდა, ხოლო ღამით ზღვიდან გრიალითა და ზუზუნით მოვარდა ქარიშხალი. ცამ პირი მოხსნა, მოწვეული წვიმა ტყალმანით სახეში სცემდა მწვანეკუდიან მემორებს, რომლებიც მხოლოდ მათთვის დამასასიათებელი ინტუციით მიიკვლევდნენ გზას ჩამოწოლილ წყვილადში. ოქტომბრის ამ ქარიშხლიან ღამეს მესაზღვრეთა საგანგაშო ჯგუფებმა რამდენჯერმე „გაცხრილეს“ აღმა-დაღმა მთის ციცაბო ფერდობები, ტყიანი ხეხუეები, ნასი-

მინდარი ველები, ჩაისა თუ მანდარინის ბლანტაკიები. კოკისპირული წვიმით პირწინიდან გადარეცხილ მიწაზე ამალე უძებდნენ კვალს მწვანეკუდისანთა ერთგული მეგობრები — გაწვრთნილი ძაღლები...

2. სპი უხრობი

დედა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო სამუშაოდან. ლიანა ფანჯარასთან იჯდა და გაყვითლებს სწავლობდა. ხან თავს ასწევდა და გარეთ იყურებოდა, სადაც ისევ ცრიდა და ნელ-ნელა წვებოდა პინდი. ესოში დროდადრო შემოდოდნენ სამუშაოდან დაბრუნებული მეზობლები.

უცემ ლიანამ ესოში სამი უცხო მამაკაცი დანახა. გოგონა ყველა თანასოფელს იცნობდა, ეს სამეული კი არც ერთ მათგანს არ ჰგავდა. ისინი მეზობელ ორსართულიან სახლთან იდგნენ და მშვიდი სახით საუბრობდნენ. საყმაოდ ახალგაზრდები ჩანდნენ, ორი მათგანი ოცდაათიოდე წლისა თუ იქნებოდა, მესამე — ცოტა უფროსი. ლიანას ყურადღება ეყება სტაფილოსფერმა

ძალმა მიიპყრო, რომელიც უცნობების ასლდა. უცხო კაცებმა მცირე ხანს ისა-ურჩეს, მერე უხო გაიარეს, ნასიმინდა-რი გადაჭრეს და საბჭოთა მურწრობის მანდარინის ბაღისკენ წავიდნენ. ლიანა ერთი პირობა შეფიქრებდა, რატომ ბზას არ გაქაყნებო, მაგრამ მერე თავი დაიშვიადა — ესენი რომ ავკაცები იყვნენ და საზღვარზე გადასვლას აპირებდნენ, ძაღლს რაღად იახლებდნენ.

იხვე გაკვეთილებს მიუბრუნდა, თუმცა გულის სიღრმეში მაინც ფანჯარა და ფრთხილი, გაუცნობიერებელი კვირა გარეთ კი თანდათან ძლიერდებოდა ჭარი. დამდებოდა 10 ოქტომბრის დღე.

8. მესაზღვრეთა ნორჩი მამოზარაბი

დილაადრიან ხელგაწარის რაიონის კახაბრის ი. გოგებაშვილის სახელობის საშუალო სკოლაში მესაზღვრეები მოვიდნენ.

მათი ვიზიტი არავის გაკვირვებია, რადგან ეს მწვანეჭულიანი მემორები აჭარის ასრ ყოველ სკოლას მიწარადოდა ხალხად მიაჩნია. მესაზღვრეებს მჭიდრო კავშირი აქვთ მოსახლეობასთან, განსაკუთრებით კომპაგნიტორებსა და პიონერებთან. აბა ამ ციფრებს დააკვირ-

დით: საზღვრის დამცველთა დახმარების მიზნით აჭარის საშუალო სკოლებში შექმნილია „მესაზღვრეთა ნორჩი მემორების“ (მმ) რაზმები, რომელთა რიცხვში ასეულობით ყველაზე აქტიური პიონერია გაერთიანებული. მაგრამ საქმე მარტო ციფრებში ხომ არ არის, მთავარი ის გასლავთ, რომ მესაზღვრეები და პიონერები ერთად შრომობენ, სწავლობენ და იცავენ საზღვარს. ისინი ერთმანეთს ხვდებიან სკოლაშიც და სასაზღვრო ზოლთანაც. მემორების დახმარებით გოგონები და ბიჭულები უეფულებიან კვლამაძიებლობის რთულ ხელფონებს, სწავლობენ რადიოსაქმეს, იარაღის მატერიალურ ნაწილს, იმპერიულენ გარემოში ორიენტირების უნარს, ენობრივ საბუღების დაცემის ხერხებს, მოსტაქდებიან ყუშმარის ტყორცებსა და მცირეფალობიანი მოსახიდან მისაწმი სროლაში...

მესაზღვრეთა ნორჩი მემორების რაზმთა საქმიანობას ხელმძღვანელობს კომპაგნიტორის საოლქო კომიტეტთან არსებული მმ საოლქო მტანი.

კომპაგნიტორის საოლქო კომიტეტში კარგად დახასიათეს სარფის, მახინჯაურის, თხილნარის, ქედის, კახაბრის, ხიხაძირის, ბათუმის 24-ე და სხვა საშუალო სკოლების მმ რაზმების საქმიანობა ეს ნიშნავს, რომ სამხედრო-მატრიოტული აღზრდის ამ მნიშვნელოვან უბანზე მოაოგონებენ წარმატებები შემთვევითი არ არის.

აჭარის კომპაგნიტორის სამგზის მიენიჭა და სამუდამოდ გადაცა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო უბნების პოლიტიკური სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა სამხედრო-პოლიტიკური აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებისა და სახელმწიფო სასზღვრის დაცვაში მესაზღვრეებისათვის გაწეული აქტიური დახმარებისათვის. მარტო ხელგაწარის რაიონის კომპაგნიტორულ ორგანიზაციას ექვსჯერ მიენიჭა ამირეკავკასიის სასაზღვრო ოლქის სამხედრო საბჭოს გარდამავალი დროშა.

დახმარება, რომელსაც პიონერები მესაზღვრეებს უწევენ, მრავალნაირია. მაგრამ უმთავრესი, რა თქმა უნდა, მაინც საზღვრის დამრღვევთა წინაშე მარტო მემორების დახმარებაა. ამ მხრივ კი კუშმარტად ბერი აქვთ საამყო აჯარულ პიონერებს, მათ პირად ანგარიშზე არა ერთი და ორი სასზღვრის დამრღვევი ირიცხება.

... და აი, 11 ოქტომბერს, დილაადრიან, კახაბრის საშუალო სკოლაში მესაზღვრეები მოვიდნენ...

4. „მე პიონერი, მასწავლებელი“

